ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №169

2017 წლის 29 მარტი

ქ. ქუთაისი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 მარტის №112 დადგენილების პირველი მუხლის „ა[1]“ ქვეპუნქტისა და მე–2 მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის ზედა ზღვარი განისაზღვროს 0,5 ლარით.

მუხლი 2
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის ზედა ზღვარი განისაზღვროს 0,4 ლარით.

მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 7 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ნიკოლოზ ლატარია**